



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი(BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლავთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media)

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,

Funds4Media ბიულეტენის შემდგენელი

1. გრანტები გაეროს კლიმატის სამიტზე გასამგზავრებლად
2. ახალგაზრდა ლიდერების კოლა ვილნიუსში (Vilnius Young Leaders Meeting)
3. Thomson Foundation-ის კონკურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის
4. მიიღება ნამუშევრები ონლაინ ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის
5. ალფრედ ფრენდლის სტიპენდია
6. კონკურსი დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის
7. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი
8. ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის სტიპენდიები
9. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის
10. გაეროს კონკურსი ჟურნალისტებისთვის
11. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია
12. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი
13. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

# 1. გრანტები გაეროს კლიმატის სამიტზე გასამგზავრებლად

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

18-დან 32 წლამდე ჟურნალისტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში სამგზავრო გრანტის მოსაპოვებლად.

ორგანიზაცია Climate Tracker აირჩევს რვა ახალგაზრდა ჟურნალისტს, რომელთაც დაუფინანსდებათ მგზავრობა და შეძლებენ გააშუქონ გაეროს კლიმატის ახალგაზრდული სამიტი და სხვა ღონისძიებები, რომელნიც დაგეგმილია ნიუ-იორკში 19-დან 26 სექტემბრამდე.

მონაწილეებმა უნდა დაწერონ სტატია ახალგაზრდული მოძრაობის ან ახალგაზრდა ლიდერების შესახებ, რომელთა ძალისხმევა კლიმატის ცვლილების შეჩერებისკენ არის მიმართული.

მიიღება სტატიები მულტიმედია ელემენტებით, რომლებიც გამოქვეყნებულია საინფორმაციო საიტებზე, ბლოგებზე, ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ნაციონალურ ისე რეგიონულ ან საერთაშორისო მედიაში. მოცულობა არა ნაკლებ 500 სიტყვა. რვა შერჩეულ მონაწილეს, ასევე შეეძლება გაიაროს ტრენინგი კლიმატის ცვლილებების გაშუქების შესახებ. ასევე, იქნებიან მიწვეული ჯგუფურ ინტერვიუზე მაღალი თანამდებობის პირებთან და ექსპერტებთან.

დაწვრილებით: <https://bit.ly/337OOay>

განაცხადების მიღების ვადა: 10 აგვისტო 2019 წ.

## 2. ახალგაზრდა ლიდერების კოლა ვილნიუსში (Vilnius Young Leaders Meeting)

გეოგრაფია: სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, ესტონეთი, ლიეტუვა, ლიტვა, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი

The Eastern Europe Studies Centre იღებს განაცხადების ახალგაზრდა ლიდერების რიგით მეორე სკოლაში, ვილნიუსში. ასაკი 24-35 წელი. პირობები - ჰქონდეს ბაკალავრის სტატუსი, მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება ჟურნალისტიკაში, კომუნიკაციის სფეროში, პოლიტოლოგიაში. აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა.

Vilnius Young Leaders Meeting-ის მთავარი ფოკუსია – დეზინფორმაციით და პროპაგანდით შექმნილი საფრთხეებისთვის წინააღმდეგობა, ინფორმაციაზე კონტროლირებადი წვდომა, სწავლება ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით. მონაწილეები იქნებიან უზრუნველყოფილი საცხოვრებლით (ორკაციან ნომერში), კვებით, აუნაზღაურდებით ტრანსპორტირების ხარჯები, მიიღებენ სავიზო მხარდაჭერას.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2S9ETw4>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12 ივნისი 2019 წ.

### 3. Thomson Foundation-ის კონკურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

უცხოური პრესის ლონდონის ასოციაციის კონკურსის ფარგლებში Thomson Foundation აფინანსებს კატეგორიას „ახალგაზრდა ჟურნალისტები განვითარებადი ქვეყნებიდან“ (FPA, <https://www.fpalondon.net>). სამი ფინალისტი სხვა გამარჯვებულებთან ერთად გაემგზავრება ლონდონში დაჯილდოვების ცერემონიაზე. ღონისძიება გაიმართება ნოემბერში. ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 30 წლამდე ჟურნალისტებს განვითარებადი ქვეყნებიდან. მონაწილეებმა უნდა წარადგინონ სამი მასალისგან შემდგარი პორტფოლიო (ნამუშევრები შეიძლება იყოს ბეჭდური, აუდიო-ვიზუალური. მულტიმედიური. მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული 2018 წლის 16 აგვისტოს შემდეგ). მიიღება ნამუშევრები ყველა ენაზე, თუმცა არაინგლისურენოვან ნამუშევრებს უნდა ახლდეს სუბტიტრები ინგლისურად.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2udN00z>

განაცხადების მიღების ვადა: 16 აგვისტო 2019 წ.

### 4. მიიღება ნამუშევრები ონლაინ ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ჟურნალისტებსა და მეცნიერებს მთელი მსოფლიოდან, რომელთაც გააჩნიათ ორიგინალური კვლევები ონლაინ ჟურნალისტიკის სფეროში შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატია სამეცნიერო ჟურნალში.

(<https://isoj.org>) საერთაშორისო სიმპოზიუმი ონლაინ ჟურნალისტიკაში აცხადებს შემდეგ თემაზე მომზადებული კვლევების მიღებას: „ძალაუფლება, პრივილეგიები და პატრიარქატი ჟურნალისტიკაში: მასმედიის კონტროლის დინამიკა, წინააღმდეგობა და განახლება“.

ორგანიზატორები ავტორებს სთავაზობენ საკუთარ კვლევებში ჩართონ მულტიმედია ელემენტები, ვიდეო, ინტერაქტიული გრაფიკა, აუდიო და სხვა. განაცხადები მიიღება ინგლისურ ენაზე. XXI კონფერენცია ISOJ გაიმართება 24 და 25 აპრილს ოსტინში, ტექსასის უნივერსიტეტში. კონფერენცია შეიცავს კვლევებსა და დისკუსიებს მეცნიერებსა და ჟურნალისტებს შორის მთელი მსოფლიოდან.

ნამუშევრების რეცენზიები მომზადდება ანონიმურად წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერების მიერ.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2ZjVy2e>

განაცხადების მიღების ვადა: 23 აგვისტო 2019 წელი.

## 5. ალფრედ ფრენდლის სტიპენდია

გეოგრაფია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

ალფრედ ფრენდლის სტიპენდია (Alfred Friendly Press Fellowships) 25-დან 35 წლამდე განვითარებადი ქვეყნების ჟურნალისტებისთვის წარმოადგენს შესაძლებლობას იმუშაონ ამერიკულ რედაქციებში და მიიღონ იქაური გამოცდილება, რომელსაც შემდგომში საკუთარ რედაქციაში დასაქმებულებს გადასცემენ. სტიპენდიის მიზანია ხელი შეუწყოს ამერიკასა და სხვა ქვეყნებს შორის მჭიდრო პროფესიულ თანამშრომლობას. მომდევნო პროგრამა წარიმართება მარტის შუა რიცხვებიდან 2020 წლის სექტემბრის დასაწყისამდე. ის დაიწყება მისურის ჟურნალისტის სკოლაში ორკვირიანი სესიით, რის შემდეგაც ჟურნალისტები გაემგზავრებიან სტაჟირებაზე ამერიკის წამყვან რედაქციებში. სტიპენდია მოიცავს მგზავრობის ხარჯებს, სამედიცინო დაზღვევას და საცხოვრებელ ხარჯებს.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ სამწლიანი მუშაობის გამოცდილება, აღნიშნულ მომენტში მუშაობდნენ ჟურნალისტად სრულ განაკვეთზე, და კარგად ფლობდნენ ინგლისურს, როგორც სასაუბრო ისე წერით დონეზე.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2YlrKp2>

განაცხადების მიღების ვადა: 31 აგვისტო 2019 წელი.

## 6. კონკურსი დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის

გეოგრაფია: მოლდოვა, უკრაინა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და ცენტრალური აზია

The Institute for War and Peace Reporting

გეგმავს მოამზადოს დოკუმენტური ფილმი ცენტრალური აზიის, კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მართვის პრობლემების შესახებ. ფილმი მითითებული ქვეყნების კონტექსტში უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს: გარემოს დაცვა, ქალებისა და გოგონების წინაშე არსებული გამოწვევები, დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავლენები საზოგადოებაზე, მართვა და კორუფცია, კონფლიქტები.

ფილმის მიზანია წარმოაჩინოს ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო პრობლემები, იმისათვის რომ საზოგადოებამ უკეთ გაიგოს აღნიშნული საკითხები და წახალისოს კონსტრუქციული დიალოგი საერთო პრობლემების მოგვარების მიზნით. ფილმმა უნდა ასახოს ყოველდღიური რეალობა, მოიცვას ისტორიები და ყველა მხარის პოზიციები.

მოთხოვნები: დაინტერესებულმა ორგანიზაციამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ფილმის მომზადების სრულ პროცესზე. ფილმი უნდა მომზადდეს მაღალი ვიდეო და აუდიო ხარისხით.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2N1m1QW>

განაცხადების მიღების ვადა: 31 აგვისტო 2019 წელი. კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ანა დაბრუნდამვილს: [caucasusprogramme@iwpr.net](mailto:caucasusprogramme@iwpr.net) არა უგვიანეს 17 ივლისისა 2019 წელი.

## 7. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის ფესტივალი „ერთი მსოფლიო“ (One World), ორგანიზებულია ჩეხური არასმთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი განსაცდელში“ მიერ. (<http://www.clovektivisni.cz/en>) გაიმართება 5\*დან 141 მარტამდე პრატაში, ჩეხეთი. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კინემატოგრაფისტებს მთელი მსოფლიოდან. კონკურსში პრიზები გადაიცემა საერთო კატეგორიებში და საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში. მიიღება ფილმები რომელზეც მუშაობა დასრულებულია ან დასრულება 2018 წლიდან 2020-მდე. ფილმებს, რომლებიც არ არის მომზადებული ინგლისურ ენაზე უნდა ახლდეს სუბტიტრები. მონაწილეობის ღირებულება 20 ევრო.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2IB5MqZ>

განაცხადების მიღების ვადა: 1 სექტემბერი 2019 წელი.

სექტემბერში და ნოემბრამდე დასასრულებელი ფილმების დედლაინი: 1 ნოემბერი 2019 წელი.

## 8. ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის სტიპენდიები

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ალექსანდრე ფონ გუმბოლდტის სახელობის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტი იღებს განაცხადებს სასტიპენდიო პროგრამაში „ინტერნეტი და საზოგადოება-2020“ მონაწილეობისათვის. პროგრამა წარიმართება ბერლინში.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ დამწყებ და გამოცდილ ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტთან დაკავშირებულ თემებზე. შესაძლო საკვლევი თემები: „ციფრული საზოგადოების განვითარება“, „მონაცემები, მომხმარებლები და ინფრასტრუქტურა“, „ცოდნა და საზოგადოება“, „ინოვაციები და მეწარმეობა“ .

სტიპენდიანტებმა შეიძლება დაჰყონ სამიდან თორმეტ თვემდე და ჩაერთონ ინსტიტუტის სხვადასხვა ღონისძიებაში და განახორციელონ ერთობლივი კვლევა საერთაშორისო გუნდთან. პროგრამა გთავაზობთ გრანტების შეზღუდულ რაოდენობას, რაც ფარავს მგზავრობის და ვიზის ხარჯებს.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2w8rY4V>

განაცხადების მიღების ვადა: 2 სექტემბერი 2019 წ.

## 9. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

ამ სტიპენდიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, აუდიო, ვიდეო, ახალი მედია და ფილმის შემქმნელებს - კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, აშშ. რედკლიფის სახელობის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სასტიპენდიო პროგრამა სთავაზობს მონაწილეებს იმუშაონ ამოცანების ფართო სპექტრზე, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა პროფესიას, სამეცნიერო სფეროს და ხელოვნებას, ჟურნალისტიკის ჩათვლით. სტიპენდიის მოცულობა - 77 500 დოლარამდე წელიწადში, პროექტის განხორციელებისათვის დამატებითი ხარჯების გამოყოფით. სტიპენდიანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ოფისი და სტუდია, ასევე ექნებათ წვდომა ბიბლიოთეკასა და სხვა რესურსებზე. პროგრამა გათვლილია 2020 სექტემბრიდან 2021 წლის მაისამდე.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2IBYrFX>

განაცხადების მიღების ვადა: 12 სექტემბერი 2019 წელი.

## 10. გაეროს კონკურსი ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

გაეროს კორესპონდენტების ასოციაცია იღებს საკონკურსოდ მასალებს შემდეგ სამ კატეგორიაში: „ბეჭდური და ონლაინ პუბლიკაციები“, „რადიო და ტელევიზია“ და „კლიმატის ცვლილებები“. კონკურსში მონაწილეობისთვის იწვევენ ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ გაეროს და მისი ქვედანაყოფების საქმიანობას. მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის აგვისტომდე პერიოდში. ნამუშევრები შეიძლება იყოს წარმოდგენილი გაეროს ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე. სხვა ენაზე შესრულებულ მასალებს უნდა ახლდეს თარგმანი ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენს 60 000 დოლარზე მეტს. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება დეკემბერში ნიუ-იორკში, ჯილდოს გადასცემს გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2u2vkE1>

განაცხადების მიღების ვადა: 15 სექტემბერი 2019 წელი.

## 11. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

National Endowment for Democracy/ NED-ის მთავარი დამფუძნებლების, რონალდ რეიგანის და კონგრესმენ დანტე ფაცელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა გახლავთ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროგრამა დემოკრატიის აქტივისტებს, ჟურნალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს და მეცნიერებს მთელ მსოფლიოდან სთავაზობს გაატაროს 5 თვე NED-ის რეზიდენციაში, ვაშინგტონში, იმისათვის რათა აწარმოონ კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის დემოკრატიის კვლევა.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2LHsChd>

განაცხადების მიღების ვადა: 1 ოქტომბერი 2019 წელი.

## 12. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

გეოგრაფია- საქართველო

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი აცხადებს კონკურსს საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად, ზრდასრულთა განათლების თემაზე. ზრდასრულთა განათლების კონკურსის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების (ფორმალური და არაფორმალური) შესახებ.

კონკურსში განსახილველად მიიღება, 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი, ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია(სტატია, ესე) ან ფოტო-რეპორტაჟი თემაზე: „საქართველოს განათლების რეალობა და პრობლემები“.

კონკურსში გამარჯვებულისათვის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა დააწესა ჯილდო - 1000 ლარი .

იხილეთ დაწვრილებით: <http://bit.do/eU3nR> და [info@gaen.org.ge](mailto:info@gaen.org.ge)



## 13. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

გეოგრაფია- მთელი მსოფლიო

Eyebeam Center for the Future of Journalism Craig Newmark Philanthropies მხარდაჭერით, გთავაზობთ 500-დან 5000 დოლარამდე გრანტებს, ჟურნალისტების და მხატვრების ერთობლივი ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ, მხატვრებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუშაობენ ინოვაციურ და მამხილებელ ჟურნალისტურ პროექტებზე. საგრანტო პროექტები, შეიძლება იყოს გათვლილი ხანგრძლივ პერიოდზე და შეიცავდეს ფოტო, აუდიო, ვიდეო და ტექსტუალურ მასალებს. შესაძლო თემები: მონაცემთან კონფიდენციალურობა, 2018-2020 წლის არჩევნები, ტექნოლოგიების როლი, პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებელი კამპანიები, კვლევა თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგიების საზოგადოების საზიანოდ, ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაციასთან ბრძოლა. განაცხადები მიიღებ ინგლისურ ენაზე.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2GU68Gz>

© Baltic Centre for Media Excellence, 2019.

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები: ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, დიანა ხოდულინა, ეგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- [climatetracker.org](http://climatetracker.org)
- [eesc.lt](http://eesc.lt)
- [thomsonfoundation.org](http://thomsonfoundation.org)
- [knightcenter.utexas.edu](http://knightcenter.utexas.edu)
- [presspartners.org](http://presspartners.org)
- [iwpr.net](http://iwpr.net)
- [my.oneworld.cz](http://my.oneworld.cz)
- [hiig.de](http://hiig.de)
- [radcliffe.harvard.edu](http://radcliffe.harvard.edu)
- [unca.com](http://unca.com)
- [ned.org](http://ned.org)
- [gaen.org.ge](http://gaen.org.ge)
- [eyebeam.org](http://eyebeam.org)